29/1919
22/III 50
№ 29

ს ა ლ ი კ ლ დ ე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ოთხშაბათი, იანვრის 15.

(იანვარის 2).

1919 წელი.

№ 6.

ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური „სალი კლდე“ გაზეთი გამოცემა

— დამოუკიდებელი —
ნაციონალ-დემოკრატიული

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახახლის ქ. № 5

რედაქტორის ტელეფონი № 22.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

მეთაური. ვემზადოთ არჩევნებისათვის.
L. „კავკასიის ინტერნაციონალი“.
ვ. იმნაიშვილი. სადღეისო შენიშვნები.

ც ნ ო ბ ე ბ ი.

პეტროგრადის გარნიზონი ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვიდა.—საფრანგეთი რეინის მარცხენა მხრის ნეიტრალიზაციას მოითხოვს.—ბერლინში ამბოხება კვლავ გრძელდება.—სამაჰმადიანო საქართველოს ავტონომია მიენიჭა.—ქართველი კათოლიკენი ქართული ტიბიკონის შემოღებას მოითხოვენ.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახახლის ქ. № 5.

ქართველებო! ნუ დაჰკარგავთ საარჩევნო ხმას!
მიდით ქალაქის საარჩევნო ბიუროში. (შუა (სომხის) ბაზარში, № 62 თა მამშევის ქარვასლა) და თუ აღწერისდროს გამოტოვებული ხართ, შეატანიეთ სიაში თქვენი თავი!

თფილისი, იანვარის 15.

დაფუძნებელი კრება.

მხოლოდ ერთი თვე დაგვრჩა დამფუძნებელ კრების არჩევნებამდის. მხოლოდ ერთი თვე გვაქს საშვალება ვემზადოთ რაოდენამდე დავანახოთ მტერს და მოყვარეს ჩვენი სახე. ერთი თვის შემდეგ უნდა შეიკრიბოს სრულიად საქართველოს წარმომადგენელთა კრება.

ვიცით წინ და წინვე რომ მრავალი დაბრკოლებები გადაგვეღობება წინ. მრავალი ძალმომრეობა და უსამართლობა იქნება არჩევნების დროს, მაგრამ თუ ჩვენ დღეიდანვე მხნეთ და ენერგიულათ შეუდექით საქმეს, თუ ცენტრში და პერიფერიებში ავამუშავეთ ჩვენი პარტიის ხალხი და თანამგრძნობელნი ჩვენნი, მაშინ ჩვენ სასირცხვილოთ არ დავმარცხდებით ისე როგორც აქამდე ვიყავით დამარცხებულნი.

დღევანდელ ჩვენს პარლამენტში ხუთი მეექვსედი, თუ უფრო მეტი, სოციალისტი დეპუტატი ზის. ეს ანტინორმალურ მოვლენაა რც ერთ სახელმწიფოში, ჩვენზე ჩამორჩენილში თუ დაწინაურებულში, ამოდენა სოციალისტები არ მოიძებნება.

სოციალისტობამ საქართველოში თითქო ავადმყოფური, გადამდები ავადმყოფური, ხასიათი მიიღო. სოციალისტობა დღემდე კიდევ მოლაშია საქართველოში მცხოვრებ დიდ უმრავლეს ქართველობისთვის თუ ვიხელმძღვანელებთ იმ პროპორციით რა პროპორციითაც ისინი წარმოადგენენ დღევანდელ პარლამენტის დეპუტატებს.

ვფიქრობთ, რომ დროა საქართველოს შვილნი გამოერკვიონ ბურუსიდან.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უნდა უჩვენოს განათლებულ სახელმწიფოებს თავისი არჩევნების შედეგებით, რომ აქ სცხოვრობენ არა მარტო ფანტაზიორნი, ჰაერში ცინე კოშკების მშენებელნი, ილუზიებით შეპყრობილნი, მეოცნებენი, არამედ რეალურად მოაზროვნე ხალხი, რომელიც შაბლონიურად არ გაიძახის, თუ პროლეტარს სამშობლო არა აქვს ან იმ აზრს იზიარებდენ ვითომ ubi bene ibi patria; პირ იქით, ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ დიდ ხანს მხნეთ შეუდგება შემოქმედებითი მუშაობას განახლებულ საქართველოში.

ქართველო ხალხო, სამშობლო საქართველოს კარგ ძლიერ სახელმწიფოდ მოწყობას ყოველი ქართველის კარგად მოწყობა მოჰყვება.

შეძლებულ და მდიდარ სახელმწიფოს, შეძლებული და მდიდარი ქვეშევრდომნი ეყოლებიან ქონებრივათ თუ კულტურულად. საქართველოს სახელმწიფოს აღორძინება—აშენებაში საქართველოს კანონმდებელმა პარლამენტმა უდიდესი როლი უნდა შეასრულოს. საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც შეიკრიბება სწორედ ერთი თვის შემდეგ უნდა იყოს საწინდარი იმისა, რომ ჩვენს სახელმწიფოს მკვიდრი და შეურყეველი ნიადაგი ჩაეყოს ბის. მაშ ვემზადოთ მხნეთ არჩევნებისთვის.

„კავკასიის ინტერნაციონალი“

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ჩვენი სოციალისტები სომხებს კონფერენციებზე იწვევდენ და სადაო საკითხების მშვიდობიანი და კეთილ-მეზობლური გზით გადაჭრას ურჩევდენ.

სომხეთმა ქართველი სოციალისტების ხვეწნა-მუდარა არ შეიწყნარა და იმ დროს, როცა ეს უკანასკნელები მანანასავით უცდიდენ ორ ერთა ბჭობის გამართვას, სომხეთი ძალზე მოემზადა და საქართველოს დედა ქალაქი ლომის ცეცხლმა და განადგურებამ არ მოიცო.

მაშინ ეს, „შრომელებმა“ „სამწუხარო მიზეზებით“ ახსნეს და ყველაფერი „ავანტიურისტებს“ დაბრალეს. ომის პერიოდში კი სული განაბეს.

დღეს, როცა ომი შეაჩერეს, „შრომა“ კვლავ უბრუნდება ჩვეულ „მწუხარებას“ და სომხეთს კონფერენციისაკენ უხმობს, იმ მოსაზრებით, რომ „ამას ავალებს სოციალისტებს ინტერნაციონალი.“ და სწერს:

„ჩვენ უნდა გავიგოთ ტრაგიკული მდგომარეობა იმ ერის, რომელიც მომწყვდეულია ერევნის უხეირო (?) გუბერნიაში... ხოლო ამისთვის საჭიროა: ღია პოლიტიკა, ურთი-ერთი უფლების პატივისცემა და სასიცოცხლო ინტერესების სწორი გაგება! ის რაც ვერ შესძლეს მთავრობებმა, უნდა ქნან სოციალისტურმა პარტიებმა! გვწამს ეს ასეც იქნება და დიადი ისტორიული გამოცდების შემდეგ იმპერიალისტურ ზრახვათა ნანგრევებზე აღიმართება კავკასიის ინტერნაციონალის წითელი დროშა“—ო. რასაკვირველია ვისაც რა უნდა იმას იწამებს და „ნეტარ არიან ყველა მორწმუნენი“, მაგრამ ერთი რომ კი მუდამ უდაოა: სომხეთისა და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები ჩვენი ქვეყნის საბჭრეთ აღმოსავლეთის ნაწილებია. რანაირი სომეხიც არ უნდა მოითხოვონ საკონფერენციოთ ქართველმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა, თუ ეს სომეხი ოდნავ მაინც ფიქრობს სომხის ერზე უეჭველია ილაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკებს ყაზახზე, ლორეზე და ბამბაკზე. იგი ამ ნაწილების შესახებ თავისებურ დირექტივებს წამოაყენებს და თუ ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, ინტერნაციონალისათვის სომხეთს შესწირავენ (რაშიაც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება), უეჭველია მაშინ სომხეთი ღირსულ მეზობლობას გაგვიწევს; ხოლო თუ სომხის დირექტივებზე ჩვენს სოციალისტებს საწინააღმდეგო რამ ექნათ („ერთა თავის უფლების“ პრინციპისათვის ყოველ შემთხვევაში) ვეეჭვობთ, რომ საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერები და სომხის სოციალისტები მორიგდენ და სასურველი „ღია პოლიტიკა“ ექნეთ.

ნაკადი ფინალი გამეორდება.

განა „შრომამ“ ეს არ იცის? იცის, მაგრამ რა ქნას; უნდა ილაპარაკოს მაინც „კავკასიის ინტერნაციონალზე“ და „სოციალიზმზე“ თუ გინდ იმიტომ, რომ ავლაბარში სამასი თანამოაზრე სომეხი მოეპოება.

L.

სადღეისო შენიშვნები.

ერთ სოციალისტთან საუბრის დროს ვთქვი: შეუფერებელია, საქართველოში შობა იანვარში ვიდღესასწაულოთ, რადგანაც ქართველმა ერმა დიდი ხანია, რაც შობის დღესასწაულობა ქრისტესშობისთვეში შემოიღო, რომელსაც თვით ამ დღესასწაულის სახელი უწოდა მეთქი. გაანჩხლდა სოციალისტი და მიპასუხა: ეს ხომ მთავრობის საწინააღმდეგოდ ძველი რეჟიმის გაბატონება იქნებაო.

მეორეს ვეხუმრე: მოგილოცავ ნაადრევ ახალწელიწადს მეთქი ისიც აპილპილდა და ბრძანა: „ნაადრევი ახალი წელიწადი ევროპასთან დაახლოვებისთვის უნდა შემოვიღოთო. კრძალვით მოვახსენე: შემცდარი ბრძანდებით, თუ მარტო ამით აპირებთ ევროპასთან დაახლოვებას მეთქი.

საზოგადოება, როგორც მოგეხსენებათ, ჭრელია: ზოგნი, თუ ვინმემ რამე სთქვა ან დასწერა მოხელეთა განკარგულების გამო, ერთ განგაშს ასტეხენ როგორც ძველი რეჟიმის დროს იცოდნენ.

დღეს საქართველო რევოლიუციის ნანგრევებშია ჩაფლული და ჩვენმა მთავრობამ რომ ის ამ ნანგრევებიდგან ამოიყვანოს და მტკიცე ნიადაგზე დააყენოს, დიდი შრომაა საჭირო და ქართველი ერის მოვალეობას შეადგენს მთავრობას ერთგული დახმარება გაუწიოს.

მაგრამ ამასთანავე ყველა ქართველი მოვალეა, თუ რამე საზარალოს და მავნეს შენიშნავს მის განკარგულებაში, ხმა ამოიღოს და მიუთითოს ამა, თუ იმ ნაკლულოვანებაზე. ეს იქნება დახმარება და არა „კრიტიკა“ და „ხელის შეშლა“ როგორც ზოგიერთებსა ჰგონია.

ყველას მოეხსენება, თუ რაძნელი და რთული მთელი წეს-წყობილების შეცვლა სახელმწიფოსი უეცრად და ნაჩქარევად და რამდენი არა სასურველი მოვლენებიც აუცილებელია ამ ნაირ ცვლილების დროს.

ასეთი იყო მაგალითად: მიწის საკითხი, რომელიც ისე გამწვავდა, რომ საზიზღარი მიმართულება მიიღო ჩვენში (მეტადრე ქართლში).

ასეთია ახლანდელი ხელოვნური სიძვირეც.

ყველას მოეხსენება, რომ მთელს საქართველოში 20 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნე თუ მოიპოვება ისიც კარგია; კერძოდ სამხრეთ და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ საქ. 5-6 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნე ძლივსღაა, რაც გაუნათლებლობას და სიბნელეს ქართ. ერისას მოასწავებს. მართალია, რომ ქ. ერს სიმარდე და გამჭრიახობა ბუნებით თან დაყოლილი აქვს, მაგრამ ეს არ კმარა. სიბნელეს დასიველურეს უსწავლელი თავიდან ვერ მოიშორებს.

დიდი მნიშვნელობა ქონდა ქ. ერის წინსვლაში ქრისტეს მცნებას და სახარებას და თუ დღეს ქ. ერს კაცობა და ნამუსი ოდნად შერჩენია, არ გამქრალა და თავისი არსებობა დღემდე შეუნარჩუნებია, ეს იმ, შედარებით მტკიცედ დაცულმა, რელიგიური მოძღვრების საქმეც არის, რომლის სწავლა-ქადაგება ქართველი ერის არსებაში მუდამ ინახებოდა და რომლის სამუდამო მოსპობა დღევანდელმა მმართველებმა მოინდომა.

/კითხვა იმაშია, თუ ვის მოუსპეს სახარების სწავლა? პასუხი ნათელია: /გაუნათლებელ და უვიცს ხალხს. განათლებულ ევროპელებს: გერმანელებს, ინგლისელებს და სხვას დღესაც საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნიათ სახარება და კიდეც ასწავლიან თვისს შვილებს სასწავლებლებში. /

დღეს სახარების სწავლების საკითხს სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ჩვენი მეზობლები ქრისტიანები და გარდა ქარაფუშტებისა, ყველა სცდილობს, შეიმუშავოს ახალი პროგრამა ამ საგნისა, რომ საუკეთესოდ და სასარგებლოდ მოაწყონ სახარების სწავლების საქმე და მიაწოდონ თავიანთ შვილებს სახარებიდან ის, რასაც ადამიანის აღზრდის და კეთილდღეობისათვის უსაჭიროესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მხსნელები კი სახარების განდევნას ქ. ერის ცხოვრებიდან დღე სასწაულობენ და ბუქნას გადადიან. რაც გამოუცდელობის და აჩქარების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.

ერთი კიდევ აჩქარების და წინდაუხედველობის ნაყოფი: გამოცხადდა უქმედღეების სია და შიგ არც ერთი ქართველი ეროვნული უქმედღე არ მოიპოვება. ასეთია: ნინოობა, მცხეთობა და გიორგობა, რომელთაც ქ. ერი დიდი პატარამდე აღტაცებით დღესასწაულობს. იმდენად პატივს სცემდა ქ. ერი წ. გიორგის, რომ თვესაც კი მისი სახელი უწოდა „გიორგობისთვეს“. ეროვნულ უქმედღეების მოსპობისათვის, როგორც „ნინოობის“ წინააღმდეგობას უცხადებდით რუსის მთავრობას; ბოლოს, როდესაც მთავრობამ ნება დაგვრთო და ღმერთმაც თავისუფლება გვაღირსა, ჩვენ თვითონ ვსპობთ ეროვნულ უქმეებს, რითაც ცხადად ვამტკიცებთ, რომ ეროვნული უქმეები საჭირო არ ყოფილა ჩვენთვის და ძველი რეჟიმის მთავრობას ტყუილად ვემდურიდით.

გ. იმნაიშვილი.

საქართველოს ამბები.

იარალის აღმოჩენა.

10 იანვარს რეუტოვის ქ. № 20 მე 9 კომისარიატის უფროსმა მილიციონერმა გუგუშვილმა აღმოაჩინა სარდაფში მიწაში ჩაფლული 3 ვინტოვკა, რევოლვერები და პატრონები. იარაღი ეკუთვნოდა ს. ნიკოგოსოვს და ა. ალექსანდრიანს.

ფოსტა-ტელეგრაფი.

განახლდა დროებით შეწყვეტილი ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენციის მიღებაგადაცემა საქართველოს ფარგლების გარეშე.

პირდაპირი მატარებელი.

ქუთაისამდე. 10 იანვრიდან დაიწყო მიმოსვლა თფილისიდან ქუთაისამდე პლაცკარტიანმა მატარებელმა (პლაცკარტი 10 მ. ღირს) თფილისიდან გადის საღამოს 9—30 წუთზე, მოისპო პლაცკარტ. მატ. თფილისიდან ფოთამდე, რომელიც 11 ს. გადიოდა.

ქართველ სამხედრო ტყვეებისათვის.

მთავრობამ ინგლისელების შუამდგომლობით ადესაში საქართველოს ვიცე-კანცლერს იქ თავმოყრილ ქართველ ტყვეების საჭიროებისათვის, გაუგზავნა 500,000 მან.

ბათუმის ცხოვრება.

ბათუმში ამ დღეებში უკვე გამოვიდა სამაჰმადიანს საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო „სამუსულმანო საქართველო“.

თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველომ შეადგინა და ბათუმში გაგზავნა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შტატი. ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორას უფროსად დაინიშნა ბათუმის დაცლამდე ამ თანამდებობაზე მყოფი მ. სიმონიანცი. ამ შტატში არ შესულან ნაციონალიზაციის გამო შტატს გარეშე ღარჩენილ მოხელენი.

სომხის კაპიტალის განთავისუფლება.

მთავრობამ გაანთავისუფლა სომეხ ლტოლვილთა განყოფილების კაპიტალი, რომელიც სომხეთთან ომის დროს იყო დაჭერილი. კაპიტალი კუთვნილებისამებრ დაუბრუნდა.

ინდოელთა ჯარის ჩამოსვლა.

გუშინ თფილისში ჩამოვიდა ინგლისის, ინდოელთა ჯარის ნაწილი, 1,500 კაცამდე.

სროლა ახალწლის ღამეს.

გუშინ, ძველი სტილით, ახალწლის ღამეს მთელ ქალაქში განუწყვეტლათ სროლა სწარმოებდა მთელ ქალაქში, დღესასწაულობდენ ახალწელს.

საქონლის თავისუფალი შემოზიდვა.

მთავრობამ დაადგინა სრულიად გაანთავისუფლოს რეკვიზიციისაგან საქართველოს ნავთსადგურებსა და საზღვრებში შემოზიდული ყოველგვარი საქონელი. ეს დადგენილება დეპეშით უნდა ეცნობოს სოხუმს, ფოთს, ბათუმს და აგრეთვე საქართველოს და რუსეთის ყველა ქალაქებს.

რკინის გზათა რევიზია.

მთავრობამ დაავალა სახელმწიფო კონტროლიორს გამოარკვიოს საქართველოს რკინი

გზების მდგომარეობა და მოხსენება წარუდგინოს მთავრობას ამის შესახებ.

ბრძოლა სახადთან.

მთავრობამ 500,000 მან. გადასდო ციხეებში გავრცელებულ სახადთან საბრძოლველად.

რეგულიარული ჯარის პარადი.

გუშინ შუადღის 12 საათზე გაიმართა ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარების პარადი. ყოველ გვარი სამხედრო ნაწილები წრეებად იყო გაყოლებული რუსთაველის პროსპექტის ორივე მხარეზე. ჯარები დაათვალიერა მთავრობის თავჯდომარემ ნ. ჟორდანიამ მთავარ სარდლის ი. გედევანიშვილს, გენ. მაზნიაშვილის, სამხედრო მინისტრის, გენერალიტეტის და პარლამენტის წევრთა თანადასწრებით გენ. ესაძემ სურათები გადაიღო პირდაპირ ჰაერში დაფრინავდა რამდენიმე ჰაეროპლანი. პარადის შემდეგ ჯარს სიტყვით მიმართა ნ. ჟორდანიამ.

ხმოსანთა საარჩევნო დებულება.

მთავრობამ მოიწონა ქალაქის ხმოსანთა საარჩევნო დებულების შესწორებათა და დამატებათა კანონპროექტი.

ქალაქის თვითმართველობათა ნაციონალიზაცია.

მთავრობამ დაამტკიცა ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში ენის ხმარების კანონპროექტი.

ბათუმში შესვლის თავისუფლება.

მთავრობამ დაადგინა ყველა ქართველს შეეძლოს ბათუმში ნება დაურთველათ შესვლისა.

ოსთა ყრილობა ცხინვალში.

1918 წელს დეკემბრის 4, ცხინვალში მოწვეულ იქნა ოსთა მეექვსე ყრილობა. მიუხედავათ იმისა, რომ ყრილობას შედარებით ცოტა დელეგატები დაესწრო, კრებამ გადასწყიტა გადაედგა ისტორიული ნაბიჯი: თავს იდვა 70 ათას ოსის ნების გამოხატვა და ოსთა სახელით ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომელთა ცხოვრებაში გატარება ემუქრება მთელი ოსეთის კეთილ-დღეობას. ამ შემთხვევაში, მხედველობაში მისაღებია საკითხი სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის შეერთებულ მთავრობის შედგენისა.

როგორც ვიცით სამხრეთ ოსეთში ხდება ოსთა ერთგვარი მობილიზაცია, როაელმაც უნდა შეავსოს თფილისის საგუბერნიო ბატალიონი. ყრილობა შეეხო ამ საკითხს და დადგინა: ,,დაევალოს ოსთა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს მთავრობასთან ერერთად გამოარკვიოს საკითხი ამ ნაწილთა შედგენისა და უკეთუ იგი არ ეთანხმება ოსეთის მრომელი ხალხის ინტერესებს, ეს ნაწილები უნდა დაიშალოს ანდა დაუქვემდებაროს ოსეთის ეროვნულ საბჭოსო''.

შემოსულ წინადადებას, რომ ოს მცხოვრებთაგან ამოერჩიათ 5 ხმოსანი და გაგზავნათ გორის სამაზრო ერობაში, ყრილობამ უპასუხა შემდეგი დადგენილებით: ,,სამხრეთ ოსეთის გამოყოფამდი, ეს საკითხი ღიათ დარჩესო''.

იაპონია საქართველოს შესახებ

იაპონიის ადმირალმა ოსმალოს გაზეთის ერთ კორესპონდენტს შემდეგი გაუნცხადა. ცეცხლის მორევში მყოფ რუსეთის ანარხიის დაბოლოების შესახებ გადაწყვეტით არაფერი ითქმის ძველ რუსეთის თავის ფარგლებში აღდგენა შეუძლებელია ჩვენ გვსურს, რომ რუსეთში დამყარდეს მშვიდობიანობა დემოკრატიულ ნიადაგზე ადმირალის სიტყვით რუსეთი ძველ თავის ფარგლებში ვერ აღზდგება, ყველა რუსეთში მყოფი არა რუსი ერები განთავისუფლებულ და გამოცალკევებული უნდა იქმნენ.

რუსები მხოლოდ თავიანთ ქვეყნის პატრონი უნდა დარჩენ და არა საქართველოში, პოლონეთში და ფინლანდიაში.

ამერიკელები საქართველოს შესახებ

ამერიკის ერთი უდიდესი გაზეთი რომელიც პრეზიდენტთან არის დაახლოვებული: ამბობს რომ ალბანეთი, სერბიის და საბერძნეთის გავლენისაგან, უეჭველად უნდა იქმნეს. განთავისუფლებული ალბანეთის და საქართველოს შორის ბევრი მგზავსება არსებობს. როგორც მუსულმანი და ქრისტიან ალბანლებს სურთ შეერთებული ალბანეთი შექმნან ეგრეთვე ჩვენ ქართველებსაც, მუსლიმანებს თუ არა მუსლიმანებ გვსურ მთელი საქართველოს გაერთიანება ბ. ვილსონი საზოგადო მდგომარეობის შესახებ თავის განცხადებაში ამ ომს; განმათავისუფლებელ ომს უწოდებდა უკანასკვნელმა ზავმა, ყოველ ხალხს უნდა მიანიჭოს მშვიდობიანობა და ბედნიერება და უნდა ააშოროს ყოველ გვარ შიშს რომელიც თავიანთ ძველი ბატონებისაგან მოელით. ღრმად დარწმუნებული ვართ რომ დიდი პიროვნების ძვირფასი სიტყვები უნაყოფოდ არ ჩაივლის.

სამაჰმადიანო საქართველო და ინგლისი.

ქობულეთის, გონიის, ქვემო აჭარის, ზემო აჭარის, ართვინის, არდანუჯის და შავშეთიმერხევის უბნებში კამისრებად რუსების დანიშვნის შესახებ გავრცელებულმა ამბებმა ქართველ მუსლიმანებში დიდი მწუხარება გამოიწვია. ამის შესახებ უკვე ინგლისის ღენერალგუბერნატორს სხვადასხვა მემორანდუმები და საჩივრები მოართვეს. მოგვყავს აქ ქობულეთის მცხოვრებლების მიერ მორთმეული მემორანდუმი: ჩვენ კინტრიშის ნაწილის მცხოვრებლებმა გავიგეთ, რომ თქვენ მიერ დანიშნულ საბჭოს გადაეწყვიტა ჩვენში გამოგზავნა ადმინისტრატორად რუსის მოხელეები ფონდერ გრეშენი და ორი მისი თანაშემწე. რადგან ჩვენ საერთო ყრილობაზე უკვე ავირჩიეთ ჩვენი საქმეების მოსაწყობად ადგილობრივი მცხოვრები მცოდნე ჩვენი ხალხის და ცხოვრების, რადგან ჩვენ იმედი გვაქვს სრული მშვიდობიანობა და წესიერება დავიცვათ ჩვენი ძალღონით და რადგან შეიძლება თქვენი საბჭოს მიერ არჩეულ პირის გაგზავნას მოჰყვეს მეტად მძიმე და სამწუხარო შედეგი, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ უყურადღებოთ არ დაგვტოვოთ და აგვაცდინოთ მოსალოდნელ გაჭირვეულობა.

კინტრიშის ნაწილის წარმომადგენელნი.

ჩვენ, სამაჰმადიანო საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებმა შეკრებილნი ქალაქ ბათუმში 3 იანვარს დავადგინეთ.

გულითად სალამს მივუძღვნით დიდებულ ბრიტანიის წარმომადგენელთ ჩვენ სამშობლოში მოსულთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თავისუფლების და სამართლიანობის მუდმივი დარაჯის კულტურულსან ინგლისელთა მთავრობის წარმომადგენელნი არ შელახავს ჩვენ უცილებელ ბუნებრივ უფლებას და ჩვენ შინაგან საქმეების გამგებლობაში უცხო ხალხის ბატონობას თავზე არ მოგვახვევს ამიტომაც ჩვენ განცვიფრებული დავრჩით, როცა გავიგეთ, რომ ადგილობრივ საქმის გამგებლობა ჩაბარდა ისეთ საბჭოს, სადაც არის მხოლო ერთი მაჰმადიანი ქართველი.

ისიც კაცი სრულიად უმეცარი და ხალხისაგან ყოველივე პატივისცემას და ნდობას მოკლებული კრების მიერ ამორჩეული დეპუტატები. და ამავე დროს ამ საბჭოს ხელმძღვანელობა არის რუსის ხელში, რომელიც ჩვენი ხალხისთვის სრულიად უცხოა ამასთანავე ჩვენ გვესმის, რომ განზრახულია ბევრს ადგილას მოხელეებათ მოწვეულ იქმნან ძველი ცხოვრების დროს ჩვენი მტანჯველნი. ღრმად დარწმუნებულნი, რომ უმაღლეს ბრიტანების მთავრობის წარმომადგენელთ სრულიად აზრად არ აქვთ შეგვავიწროვონ და მონობის უღელში გაგვაბან, მხოლოდ აქ მოხდა რაღაც გაუგებრობა, კრება ერთხმად ადგენს მიმართოს ხსენებულ მთავრობის წარმომადგენელს, რათა აღდგენილ იქმნას სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრებთა კანონიერი უფლებანი და საბჭო შედგენილ იქმნეს ადგილობრივ მუსულმან ქართველთ უმრავლესობისაგან ესეთი საშუალება უზრუნველ ყოფს სრულ მშვიდობიან ცხოვრებას ჩვენში.

საქართველოს მთავრობა სამაჰმადიანო საქართველოს.

თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს რომ:

სამუსულმანო საქართველოს ანიჭებს ავტონომიას.

თვით მუსულმანი ქართველების წარმომადგენელნი გამოსცემენ კანონებს, რომელითაც ისინი სამუსულმანო საქართველოში თავის გემოზე და თავისი სინდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებსა, მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებს და მით დაამყარებენ თავის სამშობლო მხარეში ბედნიერებას.

ძმებო მუსულმანებო! თქვენი საბოლოო დამონების მსურველნი თქვენ გაშინებენ ქრისტიან ქართველთა შურისძიებით. ქართველ ხალხს საქართველოს დემოკრატიას კარგად გათვალისწინებული აქვს, რომ ასეთი ხმები ერთი მუჭა მოყიდული პირების მოლვაწეობას მიეწერება. თქვენი მოძმეები თქვენსკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“

ამით აცხადებს, რომ მის საწყობებიდან იყიდება დიდძალი ხილი **ვაგონოებით** და **ფუთოებით** როგორც კერძო პირთა, ისე დაწესებულებათათვის ფრიად ხელმისაწდომ ფასებში.

იარმუკაში, მუხრანიანთ სახლი ამხ. „ქართლი“.

მიეშურებიან არა შურის საძიებლად, არამედ თავისუფლებით, დროშით და ძმური სალამით ეს დროშა წინამორბედია თქვენი საბოლოო განთავისუფლების.

საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია, რომ თქვენ, ქართველი მუსულმანები, გაჰყვებით თქვენს რჩეულ მეთაურთ, რომელნიც საბოლოოდ დარწმუნებული არიან, რომ მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირება იხსნის სამუსულმანო საქართველოს და მის სრულ თავისუფლებას უზრუნველჰყოფს.

გაუმარჯოს სამუსულმანო საქართველოს ავტომონომიას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში!

გაუმარჯოს მუსულმან ქართველთა მონობისაგან განთავისუფლებას!

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

დეკემბრის 25.

ქართველი კათოლიკენი და სომხები.

პარლამენტმა მიიღო შემდეგი დეპეშა: მოთმინების ფიალა აივსო, ახალციხის ქართველ კათოლიკეებს ერთი წუთითაც აღარა გვსურს ვიმყოფებოდეთ სომხურ ტიბიკონის უღელ ქვეშ, რომლის წყალობით ეროვნული მხრით საუკუნოზე მეტია ვიტანჯებით, რომელსაც ბოლო არ აქვს თავისუფალ საქართველოშიც ქართველ კათოლიკეთა მღვდლებს სომხის ტიბიკონის წესისა დღესაც ვერ მოუნელებიათ საქართველოს თავისუფლება და მისი დედა ენა; აშკარად ავრცელებენ ხალხში მონარქიულ იდეებს და ეწევიან აგიტაციას ქართველ კათოლიკეთა წინააღმდეგ. ხალხი ღელავს, რასაც შეესაძლებელია მოჰყვეს სისხლის ღვრა. ამის თავიდან ასაცდენად დაუყოვნებლივ საჭიროა სომეხ კათოლიკეთა მართველობის და მისი მღვდლების უღლიდან ჩვენი განთავისუფლება. გთხოვთ საჩქაროდ განთავისუფლებას. გთხოვთ შედეგი გვაცნობოთ.

ახალციხის ქართველ კათოლიკეთა რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ზაქარია დიდიმამიშვილი, მდივანი სამსონ გოგოტაშვილი.

არჩევნების გარშემო.

კანდიდატთა სიების წარდგენის ვადა.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა 15 იანვარი დაინიშნოს ვადათ დამფუძნებელ კრების წევრების კანდიდატების სიის პოლიტიკურ პარტიათა მიერ ცენტრალურ კომისიაში წარმოსადგენათ.

ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნების ვადა.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დეპეშით აცნობა საქართველოს ყველა ქალაქთა და ერობის თვითმართველობებს, რომ დამფუძნებელ კრების წევრების ამომრჩევლების პირველი სიები გამოქვეყნებულ უნდა იყოს არა უგვიანეს 20 იანვრისა, მხოლოდ ქალაქების საბჭოს ხმოსანთა ამომრჩევლების სიები კი გამოქვეყნებულ უნდა იყოს ამაზე ადრე.

ბათუმის ქალაქის საბჭოს.

ხმოსნების არჩევნები ცხრა მარტს მოხდება! ამომრჩეველთა აღწერა დაიწყება იანვრის ოცს და გათავდება ოცდა ორს. საჭიროა ოც იანვრისთვის ბათუმში ჩამოვიდნენ ბათუმის ქართველი მცხოვრებნი და ძველი ხმოსნები.

საქართველოს მთავრობა და მთიელები.

ჩემი და მთელი საქართველოს მთავრობის სახელით გულწრფელ მადლობას გწირავთ თქვენ მთიელთა საბჭოთა კავშირს, რომ თქვენ გსურთ დაამყაროთ და განამტკიცოთ ჩვენთან კეთილ-მეზობლული გამნწყობილება. ქართველი ხალხი ყოველთვის ცდილობდა და აწიც ეცდება მეზობლურ ხალხთა მიმართ კეთილ-მეზობლური განწყობილება დაამყაროს, რათა მას სწამს, რომ მხოლოდ ასეთი განწყობილება გასჭედს კავკასიის ერთა ბედნიერებას.

მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

ხალხთა ლიგის საკითხი.

პირველი საკითხი; რომელიც დაისმება მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში რეგლამენტის შემუშავებას შემდეგ. იქნება აუცილებლათ ხალხთა ლიგის საკითხი. ამის შესახებ კლემანსო მოელაპარაკება ბურჟუას. საფრანგეთი წინადადებას შემოიტანს დაარსდეს წინსწარი კომისია.

დროებითი ზავის განახლება.

დროებითი ზავის კომისია ტრევში შეიკრიბება 14 ან 15 იანვარს, რომ შეიმუშავონ ახალი პირობები დროებითი ზავის განახლებისათვის რადგან გერმანელებმა არ ასრულეს წინა შეთანხმების პირობები

პოლონეთის ობერ-პრეზიდენტი.

პოლონეთის უმაღლეს სახალხო საბჭომ პოზნანის ობერ პრეზიდენტათ დანიშნა პრუსია პოლონეთის სეიმის დეპუტატი ფონ ტრამპზგუსკი.

პეტროგრადი ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ფინლიანდიიდან იუწყებიან, რომ პეტროგრადის გარნიზონში დიდი მღელვარებაა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

საფრანგეთის მთავრობა.

პარიზიდამ იუწყებიან: კლემანსომ განაცხადა, რომ საფრანგეთი მოითხოვს რეინის მარცხენა მხარის ყველა ოლქების ნეიტრალიზაციას.

ამერიკა და სომხეთი.

„მშაკ“-ის ცნობით ამერიკამ 500 მილიონი მან. გადასდო სომხებთან დასახმარებლათ და 100 ინსტრუქტორს გზავნის სომხეთის ჯარისთვის.

რუზველტი-სომხეთის პრეზიდენტად.

სტამბოლის ერთ სომხურ გაზეთში დაბეჭდილია ცნობა, რომ სომხეთის პრეზიდენტად მოწვეული იქნება ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რუზველტი.

„კლდის“ ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდა ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

„ნაც.-დემოკრატიული პარტია“

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“

მიხეილ მაჩაბელის

„მიწის საკითხი“

შალვა ქარუჰიძის

საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

ე ქ. დ. ჯავახიშვილი

ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.

ტელეფ. № 14—09.

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9— და საღამოს 5—7 საათ.